საინფორმაციო ბიულეტენი №8 ივლისი, 2014

ზიანის შემცირების საქართველოს ქსელი

GHRN
ზიანის შემცირების საქართველოს ქსელი
GEORGIAN HARM REDUCTION NETWORK

სიცოცხლე

ძვირფასო მკითხველო,

„ზიანის შემცირების საქართველოს ქსელმა“ ფონდ „ღია საზოგადოება საქართველოს“ მხარდაჭერით განაახლა ყოველთვიური ელექტრონული საინფორმაციო ბიულეტენის გამოცემა. ბიულეტენი განკუთვნილია „ზიანის შემცირების საქართველოს ქსელის“ წევრთათვის და მისი შინაარსიც ამან განაპირობა: ქსელის წევრ ორგანიზაციებში ჩატარებული შეხვედრების მიმოხილვა, საერთაშორისო სიახლეები ზიანის შემცირების საკითხებზე, ასევე, თვის ყველაზე მნიშვნელოვანი ამბები ზიანის შემცირების სფეროში. ელექტრონულ ბიულეტენში, იხილავთ ინფორმაციას „ზიანის შემცირების საქართველოს ქსელის“ წევრი ორგანიზაციების აქტივობების შესახებ და მომდევნო თვის შეხვედრების ანონსს. საინფორმაციო ბიულეტენი ქართულენოვანია და ელექტრონული ფოსტით გაეგზავნება „ზიანის შემცირების საქართველოს ქსელის“ ორგანიზაციების წარმომადგენლებს და მხარდაჭერებს.

„ჩვენ ვირჩევთ სიცოცხლეს“ – 28 ივლისი ჰეპატიტების საერთაშორისო დღეა

ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის გადაწყვეტილებით 28 ივლისი ჰეპატიტის მსოფლიო დღედ არის გამოცხადებული. საქართველოში 200 000 ადამიანი C ჰეპატიტით ცხოვრობს. ამ დაავადების დიაგნოსტიკა და მკურნალობა ძვირია. სახელმწიფომ ბოლო წლებში ქმედითი ნაბიჯები გადადგა მკურნალობის ხელმისაწვდომობის გასაზრდელად: 2014 წლის 1 მარტს დაიწყო მკურნალობის უფასო პროგრამა სასჯელაღსრულების დაწესებულებებში; 2014 წლის 1 ივლისიდან შესაძლებელია ფასდაკლებული პრეპარატების შეძენა. თუმცა, პაციენტთა უმრავლესობისთვის ეს კიდევ არ ნიშნავს სათანადო ხელმისაწვდომობას. პაციენტთა და არასამთავრობო ორგანიზაციებმა ამ პრობლემასთან დაკავშირებით კამპანია გამართეს. კამპანიის მიზანი იყო ხელი შეუწყოს C ჰეპატიტის უფასო დიაგნოსტიკისა და მკურნალობის ხელმისაწვდომობის ზრდას საქართველოში.

GHRN
ზიანის შემცირების საქართველოს ქსელი
GEORGIAN HARM REDUCTION NETWORK

28 ივლისს – ჰეპატიტების საერთაშორისო დღეს ორგანიზაციებმა: „ზიანის შემცირების საქართველოს ქსელი“, ნარკოტიკების მომხმარებელთა საქართველოს ქსელი (GeNPUD), ფონდი „ღია საზოგადოება – საქართველო“ და „მსოფლიო ექიმები – საფრანგეთი“ საადვოკაციო კამპანია გაიმართეს. კამპანიის ძირითადი სლოგანი **„ჩვენ ვირჩევთ სიცოცხლეს“** იყო.

კამპანიის ფარგლებში **28 ივლისს**, სასტუმრო ქორთიარდ მერიოტში პრესკონფერენცია და მრგვალი მაგიდა გაიმართა. დამსწრეებს ფონდის „ღია საზოგადოება – საქართველო“, შრომის, ჯანმრთელობის და სოციალური დაცვის, სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროების, დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის, პაციენტთა და არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლები მიესალმნენ. პაციენტების და სათემო ორგანიზაციების განცხადებით, პრობლემები იქმნება არა მხოლოდ მკურნალობაზე ხელმისაწვდომობის დროს, არამედ, დიაგნოსტიკის დროსაც. ისინი ჯანდაცვის სამინისტროს მიერ მედიკამენტებზე ფასდაკლებას დადებითად აფასებენ, თუმცა ამბობენ, რომ მოსახლეობისთვის ხელმისაწვდომი არც ეს ფასი არ აღმოჩნდა.

„ფასი მაინც მაღალი რჩება, როგორც მკურნალობის ასევე დიაგნოსტიკის. მკურნალობაში ჩასართავად ადამიანებმა ფორმა ასი უნდა აიღონ, ასევე უნდა გაიკეთონ შესაბამისი ანალიზები, რაც 900 ლარამდე ჯდება. სამწუხაროდ, მათი პრობლემები აქ არ თავდება, რადგან მკურნალობის დაწყების წინ ასევე საჭიროა რაოდენობრივი ანალიზი, ამ ანალიზის გაკეთება რამდენჯერმეა საჭირო და ამის გამო პაციენტების დანახარჯები კიდევ უფრო იზრდება. შედეგად, მხოლოდ დიაგნოსტიკური დანახარჯები საშუალოდ 3000 ლარს აღწევს“, – *განაცხადა კოტე რუხაძემ, არასამთავრობო ორგანიზააცია „ჰეპა პლუსის“ წარმომადგენელმა.*



ჯანდაცვის მინისტის მოადგილის მარიამ ჯაშის თქმით, დღევანდელი სიტუაცია მკვეთრად განსხვავდება ერთი წლის წინანდელი სიტუაციისგან და ის დადებითი კუთხით იცვლება.

„2013 წლიდან დღემდე ორი მნიშვნელოვანი ნაბიჯი გადაიდგა. პირველი – პენიტენციურ სისტემაში დანერგილი უფასო მკურნალობა და დიაგნოსტიკაა, მეორე – 60% ფასდაკლება პეგილირებულ ინტერფერონსა და რიბავირინზე, ასევე პირველი ივლისიდან ამოქმედებული ფასდაკლების პროგრამა. მიუხედავად ამისა, ამ კუთხით სერიოზული გამოწვევები ისევ გვაქვს და სწორედ ამ კუთხით ძალიან აქტიურად ვმუშაობთ“ – *აღნიშნა მარიამ ჯაშმა.*

მინისტრის მოადგილემ შეხვედრაზე სამომავლო გეგმებზეც ისაუბრა. მისი თქმით, ამერიკის შეერთებული შტატებისა და საქართველოს სტრატეგიული თანამშრომლობის ჩარჩო პროექტის ფარგლებში ახალ თაობის მედიკამენტებზე, ფასდაკლებასთან დაკავშირებით პროცესი უკვე დაწყებულია. მისივე თქმით, ასევე იხილება ეროვნული პროგრამა, რისი მონახაზიც უკვე მზადაა. „პრაქტიკამ დაგვანახა, რომ დიაგნოსტიკის ხარჯები საკმაოდ დიდ ფინანსურ ბარიერს წარმოადგენს. შესაბამისად, დიაგნოსტიკის ხელმისაწვდომობის მისაღწევად, სახელმწიფო ხელშეწყობა გაერთიანებული შესყიდვით თუ თანადაფინანსებისკენ იქნება მიმართული“ – განაცხადა მარიამ ჯაშმა.

მსგავსი ღონისძიებები გორში, ზუგდიდში და ბათუმში გაიმართა.

კამპანია **იმიტირებული არჩევნების აქციით** გაგრძელდა. თბილისში აქცია **პარლამენტის ყოფილი შენობის** წინ გაიმართა.

აქციები გაიმართა **გორში, ქუთაისში, ზუგდიდში, ფოთში, ოზურგეთსა და ბათუმში**. იმიტირებული არჩევნების დროს საგანგებოდ მოწყობილ საარჩევნო უბნებთან პაციენტები და მათი მხარდამჭერები მივიდნენ და სიმბოლურად მისცეს ხმა სიცოცხლეს. ამ აქციით მოქალაქეებმა დიაგნოსტიკისა და მკურნალობის უფასო პროგრამის მხარდაჭერა გამოხატეს.

28 ივლისს

საადვოკაციო კამპანიის ფარგლებში ნარკოტიკების მომხმარებელთა საქართველოს ქსელის (GeNPUD) წევრ თვითორგანიზაციებში და რეგიონალურ საინიციატივო ჯგუფებში საინფორმაციო/საადვოკაციო შეხვედრები გაიმართა. ნარკოტიკების მომხმარებლებთან და დაინტერესებულ პირებთან შეხვედრები თბილისში, რუსთაში, გორში, ქუთაისში, სამტრედიაში, ოზურგეთში, ბათუმში გაიმართა. მათ შორის ქ. მცხეთაში პირობით მსჯავრდებულებთან პრობაციის ბიუროში. საადვოკაციო შეხვედრებზე C ჰეპატიტის დიაგნოსტიკის და მკურნალობის ხელმისაწვდომობასთან დაკავშირებული საკითხები იყო განხილული, მომზადდა სპეციალური ბიულეტენი. შეხვედრებზე ნარკოტიკების მომხმარებლებისთვის გაზიარებული იქნა ინფორმაცია C ჰეპატიტის გადაცემის გზებზე, დაავადების სიმპტომებზე, C ჰეპატიტის სამკურნალო საშუალებებზე, მათ შორის ახალი თაობის პირდაპირი მოქმედების ანტივირუსულ პრეპარატებზე, საუბარი შეეხო სახელმწიფო ფასდაკლების პროგრამას და ამ პროგრამით სარგებლობის შესაძლებლობებს, ასევე დიაგნოსტიკის ხელმისაწვდომობას. პაციენტებს განემარტათ თუ რა დოკუმენტაცია არის საჭირო სახელმწიფო პროგრამით სარგებლობისათვის და სად შეიძლება ჩაიტარონ შესაბამისი ანალიზები. შეხვედრებზე განხილულ იქნა სპეციფიური პრობლემები, რომელსაც პაციენტები რეგიონებში აწყდებიან.

28 ივლისს ჰეპატიტის მსოფლიო დღეს გავრცელდა საქართველოს პაციენტთა თემის საკონსულტაციო საბჭოს (Ge-CAB) მიმართვა, რომლის ადრესატები იყვნენ საქართველოს პრეზიდენტი, პრემიერ-მინისტრი, პარლამენტის თავმჯდომარე და შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრი.

პაციენტთა მიმართვაში ასახულია დღეს არსებული ფაქტობრივი რეალობა, რომელიც უკავშირდება C ჰეპატიტის დიაგნოსტიკის და სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი მკურნალობის ხელმისაწვდომობას.

წერილში მოყვანილია სხვადასხვა მონაცემები სახელმწიფო მოხელეებზე გაცემულ პრემიებთან დაკავშირებით, რომელიც მილიონობით ლარს უტოლდება, მაშინ როდესაც ჩვენს მეგობრებს და თანამოქალაქეებს ხელი არ მიუწვდება მათთვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვან მკურნალობაზე.

შესაბამისად მიმართვაში პაციენტები მოუწოდებენ საქართველოს ხელისუფლებას შეწყდეს ბიუჯეტიდან თანხების არამიზნობრივი ხარჯვა და მოხდეს რესურსების გადამისამართება ადამიანებისათვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვან სამკურნალო საშუალებებზე ხელმისაწვდომობის უზრუნველსაყოფად.

28 ივლისს

გორში, ორგანიზაციამ „ნაბიჯი მომავლისკენ“ მრგვალი მაგიდია გამართა, რომელიც ჰეპატიტების საერთაშორისო დღეს მიეძღვნა. ასევე იმიტირებული არჩევნები სახელწოდებით აქცია „მე ვირჩევ სიცოCხლეს!“ ჩატარდა.

28 ივლისს არასამთავრობო ორგანიზაციები „ახალი გზა“ და „რუბიკონი“ **ქუთაისის** ცენტრალურ ბაღში იმიტირებული არჩევნებით იმ კამპანიას შეუერთდა, რაც მთელი დღის განმავლობაში დედაქალაქსა და სხვა ქალაქებში მიმდინარეობდა.



28 ივლისს

ზუგდიდში, ორგანიზაციის „ქსენონი“ **მიერ იმიტირებული არჩევნები** მოეწყო. ქალაქის ცენტრალურ ბულვარში მოწყობილ საარჩევნო უბანზე 247 ამომრჩეველი მოვიდა და ხმა მისცა სიცოცხლეს – ჰეპატიტის უფასო მკურნალობას. ამავე დღეს, **კამპანიის „ჩვენ ვირჩევთ სიცოცხლეს“** ფარგლებში მრგვალი მაგიდა გაიმართა.



შეხვედრის მონაწილეებმა იმსჯელეს სამეგრელოს რეგიონში C ჰეპატიტის პრობლემაზე ადექვატური რეაგირების გზებზე, კერძოდ კი ქალაქისა და რეგიონის ადგილობრივი ბიუჯეტიდან, დიაგნოსტირებისა და პრევენციისთვის თანხების გამოყოფის აუცილებლობაზე.

28 ივლისს

ბათუმის ზღვისპირა პარკში, იმიტირებული არჩევნების სახით აქცია მოეწყო.

30 ივლისს

სასტუმრო შერატონში, ორგანიზაციამ „თანადგომა“ მრგვალი მაგიდა გამართა. შეხვედრას ზიანის შემცირების საქართველოს ქსელის, ადგილობრივი სამთავრობო და არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლები ესწრებოდნენ. მონაწილეებმა წარმატებული პროექტები და პროგრამები განიხილეს და აღნიშნეს აჭარის მთავრობის დიდი წვლილი დიაგნოსტიკის ხელმისაწვდომობის საქმეში. ასევე, თბილისიდან მოწვეულმა სტუმრებმა ქვეყანაში მიმდინარე აქტივობების შესახებ უახლესი ინფორმაცია წარმოადგინეს. აჭარის სამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლებმა ადგილობრივი პროგრამების შესახებ განცხადება გააკეთეს. აღსანიშნავია, რომ 2014 წლიდან აჭარაში, ადგილობრივი მთავრობის დაფინანსებით ორი პროგრამა ხორციელდება, რომელიც ზოგადი პოპულაციისათვის C ჰეპატიტზე დიაგნოსტიკურ გამოკვლევებს ითვალისწინებს. აღნიშნული მზარდი ციფრების გამო აჭარის მთავრობა მომავალშიც მზად არის გააგრძელოს იმ ადამიანების პროგრამულ უზრუნველ-

ყოფა, რომელიც წინასწარ გათვლილ რაოდენობაში ვერ მოხვდა. ბათუმის მერიის წარმომადგენელთა განცხადებით 2015 წლიდან მერია 100 ბათუმელი პაციენტის მკურნალობას დააფინანსებს. თუმცა კრიტერიუმებად ჯერ მხოლოდ სოციალურად დაუცველობა იგულისხმება, რაც სამომავლოდ განხილვის საგანი შესაძლებელია გახდეს.

ზიანის შემცირების საქართველოს ქსელი

**დამატებითი ინფორმაციისთვის შეგიძლიათ
დაუკავშირდეთ ზიანის შემცირების საქართველოს
ქსელის მედია კოორდინატორს მარინა ასათიანს
ელექტრონულ მისამართზე**
marinaasatiani@yahoo.com

ან

**მოგვწერეთ თქვენი მოსაზრებები, შეხედულებები,
გაგვიზიარეთ საკუთარი გამოცდილება და
საქმიანობაში მიღწეული წარმატებები მისამართზე:**

თბილისი, 0171, პეკინის გამზ. 2,
მე-2 სადარბაზო, მე-4 სართული, ბ. 19
ტელ.: ოფისი +995 221 32 11
ფაქსი: 995 2478794
ელ.ფოსტა: *info@hrn.ge*

www.hrn.ge

GHRN
ზიანის შემცირების საქართველოს ქსელი
GEORGIAN HARM REDUCTION NETWORK

OPEN SOCIETY GEORGIA FOUNDATION
ფონდი ღია საზოგადოება საქართველო